რა არის Privé?

შემოსავლების სამსახურის მიერ დაინერგა პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება. Privé არის საგადასახადო მომსახურების სრული სპექტრი და პრივილეგირებული მომსახურება. იგი შეიქმნა მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დრო და პრიორიტეტი მომსახურებისას. Privé არის განსაკუთრებული კომფორტი სასიამოვნო და მშვიდი გარემოს შესაქმნელად, საგანგებოდ არის მოწყობილი მომსახურების ადგილი, სადაც გადამხდელს ხვდება პირადი საგადასახადო მრჩეველი. მომხმარებელი იღებს გაცილებით უფრო მეტ მომსახურებას უფრო მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით.

ვინ არის პირადი საგადასახადო მრჩეველი?

პირადი საგადასახადო მრჩეველი არის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც გადამხდელისათვის მთავარი საკონტაქტო პირია. პირადი მრჩეველი იქნება ორიენტირებული და მორგებული მომხმარებლის მოთხოვნებსა და საქმიანობის სფეროზე. იგი ემსახურება გადამხდელს მისთვის მოსახერხებელ დროს, რაც, თავის მხრივ, ამარტივებს საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობას.

რაში დაგეხმარებათ Privé სერვისი?

Privé სერვისით სარგებლობის შემთხვევაში თქვენი პირადი საგადასახადო მრჩეველი ინდივიდუალურად შეისწავლის კონკრეტულ საკითხებს და დაგეხმარებათ ვალდებულების სწორად და ზუსტად განსაზღვრაში. იგი გაგიადვილებთ ურთიერთობას საგადასახადო ორგანოსთან და იქნება დამაკავშირებელი რგოლი თქვენსა და შემოსავლების სამსახურს შორის.

რა შედის Privé –ის სერვისში?

- ✓ კანონმდებლობის ცვლილებების თაობაზე გადამხდელის ინფორმირება;
- ✓ გადამხდელისათვის საგადასახადო ორგანოს პოზიციის მიწოდება;
- ✓ გადამხდელის მიერ საგადასახადო ანგარიშგების დროული განხორციელების ხელშეწყობა;
- ✓ საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის ხელშეწყობა;
- ✓ საჯარო ინფორმაციის მოძიებაში დახმარების გაწევა;
- ✓ ინფორმირება კუთვნილი საგადასახადო შეღავათების შესახებ და შესაბამისი მტკიცებულებით უზრუნველყოფა;
- ✓ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის პროცედურების განხორციელებაში ხელშეწყობა;
- ✓ გადამხდელთან პირადი საგადასახადო მრჩევლის ვიზიტების შესაძლებლობა.

როგორ მივიღებთ პირადი საგადასახადო მრჩევლის კონსულტაციას?

პირადი საგადასახადო მრჩეველი მოგემსახურებათ თქვენთვის სასურველ დროს როგორც შემოსავლების სამსახურში, ასევე დისტანციურად:

- ტელეფონით
- ვიდეო თვალით
- ელ. ფოსტით
- Live Chat-ით

მომსახურების ტარიფები:

- ✓ მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე პირებისათვის ან/და 3 000 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე პირისათვის – 3 000 ლარი;
- ✓ 1 000 000 ლარიდან 3 000 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე პირებისათვის – 2 000 ლარი;
- ✓ სხვა პირებისათვის – 1 000 ლარი.

შენიშვნა: საფასურის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მხედველობაში მიიღება პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარსადგენი ბოლო წლიური დეკლარაციის მონაცემები.